ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 153 (19595) ◆ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა და განიხილა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის ინფორმაცია „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986–1990 წლებისა და 1987 წლის სახელმწიფო გეგმების პროექტების შესახებ“. აღინიშნა, რომ პროექტები მთლიანად შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მითითებებს, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის გადაწყვეტილებებს.

გეგმის პროექტები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის შემდგომ გაფართოებასა და მისი ეფექტიანობის გადიდებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ინტენსიფიკაციის, ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის, ბაზრის, ადამიანური ფაქტორის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გაძლიერების, საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის გაღრმავებისა და სახალხო მეურნეობის უფრო კომპლექსური განვითარების, მართვის, მთლიანად სამეურნეო მექანიზმის სისტემის სრულყოფის ბაზაზე და ამ საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986–1990 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტი და დაადგინა განსახილველად წარუდგინოს იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმა არის კონკრეტული პროგრამა პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მოქმედებისა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახული საერთო-სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში მისი წვლილის გადიდებისათვის.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მიიჩნიონ მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო მაჩვენებლები მინიმალურ დავალებად და მთელი ორგანიზატორული, დარგობრივ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა მოახმარონ რესპუბლიკაში, თითოეული ადგილი, სახალხო მეურნეობის დარგები, თითოეული შრომითის კოლექტივში მათს უფუო მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

განიხილეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის გადიდებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიხედვით ქალაქ ფოთში მიმდინარე ექსპერიმენტის გასავრცელებლად რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა მუშაობა, რომელსაც პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ეწევიან იმისათვის, რომ ერთმანეთის შეუხამონ დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპები ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვასა და მართვაში, და საჭიროდ ცნო კიდევ უფრო გაფართოვდეს ფოთის გამოცდილება რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს დაავალა დღეიდან ეძიონ მართვის ახალი ფორმები, სრულყონ თითოეული რეგიონის, თითოეული შრომითი კოლექტივის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ფოთსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შეძენილი გამოცდილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ ასრულებს თავის მოვალეობას ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მუშა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრი, საწარმოს № 2 საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს წევრი ნელი ნაროზაშვილი.

ქუთაისის № 42 ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ნელი ამ საწარმოში და შესანიშნავად ითვისა მკერავი-მოტორისტის პროფესია. იგი მუდამ პირველობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამოირჩევა თავმდაბლობით, ამხანაგებისადმი, უფროსებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. მის პროდუქციას წუნს ვერავინ დასდებს. ყველაფერმა ამან დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა ნელის კოლექტივში.

ა. სააკოვის ფოტო.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲓᲔᲡ

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები, განათლებისა და პროფტექნიკური განათლების ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და მეცნიერები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჰ. ა. ალიევი და ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ვ. ზიმიანინი და გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე განიხილეს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების, სახალხო განათლების დარგში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა. მან ხაზი გაუსვა, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მთელი კონცეფცია მიზნად ისახავს პარტიის საპროგრამო მიზნის მიღწევას — სოციალიზმის გეგმაზომიერ და ყოველმხრივ სრულყოფას, კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლას. სკოლა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უნივერსალურ ფაქტორია.

ქვეყნის ბევრ რაიონში შეძენილია სკოლის რეფორმის პრაქტიკული რეალიზაციის გამოცდილება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოსწავლეთა საწარმოო შრომის ორგანიზაციაში მოპოვებული შედეგები. ამასთან ერთად, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა პარტიის XXVII ყრილობაზე, ჩვენ ჯერ ვერ დაგვამყოფილეს რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებათა რეალიზაციის ტემპი და სიღრმე. ამედან დასკვნის გამოტანა მართებს ყველას: სახალხო განათლების ორგანოებს, პარტიულ კომიტეტებს, საბჭოებს, კომკავშირს, პროფკავშირებს, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, საბაზო საწარმოებს.

ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ რეფორმის განხორციელების დონე, მიმდინარეობა აიხსნება განათლებისა და პროფტექნიკური განათლების მუშაკთა საქმიანობის სტილისა და მეთოდების ნელი გარდაქმნით ყველა რგოლში — მასწავლებლით და საწარმოო სწავლების ოსტატით დაწყებული მინისტრამდე. და პროფტექნიკური განათლების ცენტრალური და რესპუბლიკური სამინისტროებისა თუ უწყებების, მათი ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში თავს იჩენს კონსერვატიზმი და ბიუროკრატიზმი, ნაკლებად ეწევა კონკრეტული დახმარება პედაგოგიურ კოლექტივებს. ბევრ სკოლასა და პროფტექნიკურ სასწავლებელში ვერ დაძლიეს ყოველ საკითხზე ზემოდან მითითებების ლოდინის ჩვეულება, არ იჩენენ ინიციატივასა და თანმიმდევრულობას რეფორმის დებულებათა რეალიზაციაში.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ყველა მხარის ძირეული განახლება ნამდვილ შემოქმედებითს ენერგიასა და სათანადო გაქანებას მოითხოვს. საზოგადოება სისხლხორცეულად არის დაინტერესებული იმით, რომ მის მომავალ მოქალაქეებს ჰქონდეთ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, იყვნენ ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები. უნდა გავაძლიეროთ მოსწავლეთა შემეცნებითი, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის იდეურ-ზნეობრივი გამიზნულობა. მათთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მომდინარე მოვლენათა შეფასებისადმი კლასობრივი მიდგომის ჩანერგვა მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ქვაკუთხედი უნდა იყოს.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისებაა დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება. ეს პროცესი, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა მხარე მოიცვა, ვერც სკოლას აუვლის გვერდს. საქმით უნდა ვაფართოვებდეთ პედაგოგიური კოლექტივების, პედაგოგიური საბჭოების უფლებებს, დღენიადაგ ვაძლიერებდეთ მათს გავლენას სკოლის ცხოვრების ყველა მხარეზე, ვავითარებდეთ მშობელთა საზოგადოებრიობის ინიციატივას, უნდა შევქმნათ იმის პირობები, რომ თვით მოსწავლეებიც ქმედითად მონაწილეობდნენ სკოლის გარდაქმნაში.

ი. კ. ლიგაჩოვმა განსაკუთრებით გამოსკვა მასწავლებლის შემოქმედებითი პოტენციალის ფორმირების საკითხი. შემოქმედება სკოლაში განსაკუთრებული, პირადული და ამავე დროს საზოგადოებრივი სფეროა. ჭეშმარიტი შემოქმედება შეუძლებელია საბჭოთა სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე, მეცნიერების მიღწევებზე, გარემო ცხოვრების მთელ სიმდიდრეზე დაყრდნობის გარეშე. შემოქმედებითი ძიების გარეშე სკოლა მკვდარია. არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს ის, რომ სახალხო განათლების ორგანოები და პარტიული კომიტეტები დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ საქმის ამ მხარეს. მეტი გაქანება და სიღრმე უნდა შევძინოთ პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი პედაგოგიური შრომის ოსტატთა პროპაგანდას. ვიზრუნოთ იმისათვის, რომ, როგორც ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, მაძიებელი, შემოქმედი ადამიანები არ აღმოჩნდნენ ძნელ მდგომარეობაში, მარცხი არ განიცადონ. უნდა დაეჩქაროთ პედაგოგიური განათლების გარდაქმნა, გავზარდოთ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟი.

მიუხედავად იმისა, რომ დაინახა სკოლისადმი მეტი ყურადღების ტენდენცია, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროში, მშენებლობის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროში, მთელ რიგ სხვა დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდებიან მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას. ისინი ეფექტიან დახმარებას არ უწევენ სკოლებს, პროფტექნიკურ სასწავლებლებს, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, საწარმოო შრომისათვის მოსწავლეთა სამუშაო ადგილების შექმნაში. სისტემატურად არ სრულდება განათლებისა და პროფტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობის გეგმები სომხეთში, ლატვიაში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, პერმის, ასტრახანისა და ზოგიერთ სხვა ოლქში, მხარისა და რესპუბლიკაში. ეს სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. პარტიის ლენინური მითითება „სკოლა საყოველთაო-სახალხო, საყოველთაო-პარტიული საქმეა“ ყველგან უნდა ისახმადეს ხორცს პრაქტიკული საქმეებით.

პარტიულმა კომიტეტებმა, განსაკუთრებით პარტიის რაიკომებმა, ხაზგასმით აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა, ყოველდღიური კონტროლი უნდა დაუწესონ რეფორმის საკვანძო რგოლებს, ძირითადი ყურადღება დაუთმონ სახალხო განათლების პედაგოგიური, ხელმძღვანელი კადრების განმტკიცებას, სასწავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებაძოლურობის გაძლიერებას. მეტ ინიციატივას უნდა იჩენდნენ ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც პასუხს აგებენ სასწავლებელთა ქსელის განვითარებისათვის, საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებისათვის, მოსწავლეთა შრომითი მომზადების გაუმჯობესებისათვის.

თათბირზე მოხსენებები გააკეთეს სსრ კავშირის განათლების მინისტრმა ს. გ. შჩერბაკოვმა და ორატორებმა წამოაყენეს წინადადება დაამტკიცონ რუსეთის სფსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა.

კამათის დამთავრების შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რუსეთის სფსრ კანონი რუსეთის სფსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა.

(საკდესი).

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ფედერაციის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმას იხილავს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია. იგი გაიხსნა 1 ივლისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. ვორობიოვმა.

დეპუტატები შეუდგნენ მოხსენების განხილვას.

2 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ დამთავრდა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის საკითხის განხილვა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვორობიოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ს. ლ. სოკოლოვს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ვ. პ. ნიკონოვს, ი. ვ. კაპიტონოვს.

ორატორებმა წამოაყენეს წინადადება დაამტკიცონ რუსეთის სფსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა.

კამათის დამთავრების შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რუსეთის სფსრ კანონი რუსეთის სფსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ამით რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საკდესი).

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ, ᲘᲙᲘᲡᲠᲔ — ᲨᲔᲑᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲩᲐᲘ—86

ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲗᲛᲔᲜᲡ. ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲫᲚᲘᲝᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ მონაცემებით, დღემდე ჩაის ფოთლის კრეფა შარშანდელ დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ავდრით გამოწვეული სიძნელეების დაძლევა ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1 ივლისისათვის დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში დამზადებულია და გადამამუშავებელ მრეწველობას მიეწოდა 138.870 ტონა ნედლეული, რაც წლიური გეგმის 25,2 პროცენტია. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 83.464 ტონით ნაკლები ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 18.762 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 11.192, გალში — 5.321, ქობულეთში — 7.780, ოჩამჩირეში— 4.855, წალენჯიხაში — 4.261, ჩხოროწყუში — 4. 830, გეგეჭკორში — 3.693, ლანჩხუთში — 4.197, ხელვაჩაურში — 2.759, ჩოხატაურში — 2.684, ქ. ტყიბულის ზონაში — 2.738, ცხაკაიაში — 2.001, ქ. წყალტუბოს ზონაში — 2.354, ხობში — 2.051, წულუკიძეში — 1.510, ვაჟანურში — 289, სამტრედიაში — 512, გულრიფშში — 571, თერჯოლაში — 237, ქ. ჭიათურის ზონაში — 233, ქედაში — 201, ვანში — 207, აბაშაში — 127, სოხუმში — 99 ტონით ნაკლები.

ამასთან, ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა შარშანდელ დონეს 34.174 ტონით ჩამორჩება. ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება განსაკუთრებით მართებთ ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, მახარაძის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონების მექანიზატორებს.

წლეულს ხარისხისათვის ბრძოლა უპირველესი საბრძოლო ამოცანაა. ყველამ კარგად იცის, რომ უხარისხო ნედლეულს ფაბრიკები არ გადაამუშავებენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? რესპუბლიკაში სულ დამზადებულ 138.870 ტონა ნედლეულში ნაზი ფოთლის შემცველობამ საშუალოდ 47,7 პროცენტი შეადგინა. სპეციალისტების დასკვნით, ეს შარშან დამზადებულ პირველი ხარისხის ნედლეულს 20 პროცენტით აღემატება.

დამზადებულ ნედლეულში ნაზი ფოვლის შემცველობა საშუალო რესპუბლიკურზე ნაკლები აქვთ წალენჯიხის (41 პროცენტი), ჩხოროწყუს (42,7), ოჩამჩირის (43,7), მახარაძის (44), აბაშის (45,5) და ხელვაჩაურის (46,5 პროცენტი) რაიონებს.

დავძლიოთ ჩამორჩენა, გავაძლიეროთ კრეფის ტემპი. რაოდენობასთან ერთად ხარისხიც გავუმჯობესოთ. გვახსოვდეს, მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელი ხარისხია.

ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲧᲣᲐᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲐ

ᲐᲕᲓᲐᲠᲛᲐ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საკვებმომპოვებელთა მუშაობის რიტმი, მაგრამ საქსახაგროშრეწვის ოპერატიული მონაცემებით, 1 ივლისისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია 480,9 ათასი ტონა უხეში საკვები, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 19,3 ათასი ტონით მეტია. საგეგმო დავალების წარმატებით შესრულებისათვის აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, თითოეულმა საკვებდამზადებელმა ორგანიზებულობა უნდა გამოიჩინონ და ტექნიკა მთელი ძალით აამუშაონ. საგანგებო მისახედია ფურაჟის ხარისხი, რადგან პირუტყვის პროდუქტიულობის მატება სწორედ ყუათიან საკვებზეა დამოკიდებული.

ხარისხის პრობლემას წლეულს ბევრ მეურნეობაში გულისყურით ეკიდებიან, მაგრამ ამ საქმეში ზუნიც საკმაოდ არის. მაგალითად, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის, ზემო ალვანის და ოქიოს საბჭოთა მეურნეობებმა მაისში ზამთრისათვის შესაბამისად 117, 393, 292 ტონა უხარისხო სილოსი შეინახეს.

დიდძალი უყუათო სილოსი აქვთ დამზადებული წითელწყაროს რაიონის მირზაანის, საგარეჯოს რაიონის ყანდაურის კოლმეურნეობებსა და თელავის რაიონის ლალისყურის მეცხოველეობის გაერთიანებას.

ამგვარი მუშაობა, ცხადია, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას ნაკლებად წაადგება და შრომასა და გაწეულ ხარჯებსაც ვერ აგვინაზღაურებს. საკვების სავარგულებში წუნსმკეთებლებს ჯეროვნად უნდა მოეკითხოთ. („კომუნისტის“ კორ.).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხანაგ ქანბინ ბატმუნხს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ხელახლა არჩევის გამო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა **გ. დ. გაბუნია** პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **ვ. ი. ალავიძე**, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. **პატიაშვილმა**.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲗᲘᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გაიხსნება 1986 წლის 5 ივლისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცხობების გაცემა იწარმოებს 3 და 4 ივლისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ტელეფონები: 99-08-54, 99-92-79.

5 ივლისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1986 წლის 5 ივლისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

რო პედაგოგიური და სამედიცინო მოთხოვნების დაუცველად და სათანადო პირობების შეუქმნელად. ეს არ უნდა დავუშვათ.

თათბირზე აღინიშნა, რომ უნდა განმტკიცდეს სახალხო განათლების, როგორც მთელი სოციალურ-კულტურული სფეროს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის, მატერიალური ბაზა. ითქვა, რომ წინა წლებში დაშვებულია მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ამ მუშაობაში. ეს უარყოფით გავლენას ახდენს სკოლამდელი დაწესებულებების, განსაგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის განვითარებაზე, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მეთორმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების ობიექტების კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ასიგნებანი, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ამ მუშაობისადმი, გააძლიერონ პასუხისმგებლობა გამოყოფილი სახსრების ათვისებისა და საბავშვო ბაღების, სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, პედაგოგიური სასწავლებლებისა და მასწავლელთა დახელოვნების ინსტიტუტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დასახული გეგმების შესრულებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უფრო აქტიურად უნდა მიიზიდონ მათს მშენებლობაში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, ფართოდ გამოიყენონ სტუდენტური სამშენებლო რაზმები, სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შრომითი გაერთიანებები. თავიანთი მუშაობა უნდა გააქტიურონ ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს და რადიომრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, რომლებიც ასრულებენ განათლების დაწესებულებებისათვის სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტების შემუშავებისა და სერიული წარმოების ორგანიზაციის დავალებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით განიხილეს თათბირის მონაწილეებმა სკოლის სხვა ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიც არის მასწავლებლისათვის ზრუნვის გაძლიერება, ეროვნულ სკოლაში რუსული ენის შესწავლის სრულყოფის პირობების შექმნა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შინაარსის გაუმჯობესება, სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების ტექნიკური აღჭურვა.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ღრმად და მკაფიოდ უნდა გააშუქონ რეფორმის დროს სწავლებისა და აღზრდის ხასიათში, ორგანიზაციასა და შინაარსში მიმდინარე ცვლილებათა მასშტაბურობა და სიღრმე, დაამკვიდრონ პედაგოგთა კოლექტივების, საბაზო საწარმოების, ქალაქებისა და რაიონების მოწინავე გამოცდილება. ხელი შეუწყონ სკოლის განმტკიცებას, საბჭოთა მასწავლებლის ავტორიტეტის ზრდას. რეფორმის იდეათა სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა გააანალიზა პარტიის XXVII ყრილობის დოკუმენტების დებულებანი, რომლებითაც სკოლის რეფორმის იდეებმა შემდგომი განვითარება პოვა. იგი დაწვრილებით შეეხო რეფორმის მთავარ მოთხოვნათა შესრულების მიმდინარეობას და ამ პროცესის ნაკლოვანებებს. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ რეფორმის რეალიზაციის დროს ჩამორჩენის მთავარი მიზეზი საქმის ორგანიზაციაში უნდა ვეძებოთ. ეს მუშაობა საკმარისად მიზანმიმართულად, მტკიცედ და კონკრეტულად არ მიმდინარეობს. პარტიულმა კომიტეტებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა ვერ შეძლეს შეექმნათ ისეთი ვითარება, როცა რეფორმის მითითებებისა და იდეების დროულ და უთუო შესრულებას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეს ყოველი ორგანიზაცია და მუშაკი, ყოველი პედაგოგიური კოლექტივი და მასწავლებელი.

განათლების სამინისტროებმა, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტებმა, მათმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა დაწესებულებებმა ჯერჯერობით ვერ შექმნეს განათლების შინაარსის სრულყოფის ეფექტიანი სისტემა. პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს შეუწყნარებლად ნელა, დიდი დაგვიანებით ამუშავებენ და ზოგჯერ ვერც აუჭრიბესებენ სათანადოდ მის ხარისხს.

განათლების სამინისტროები, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია მტკიცედ უნდა გარდაიქმნან, შექმნან უფრო სრულყოფილი სისტემა, რათა განათლების შინაარსი შეუსაბამონ ცხოვრების მოთხოვნებს, ფართოდ დაეყრდნონ კარგ საექსპერიმენტო მუშაობას, მასწავლებელთა, სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრიობის აზრსა და გამოცდილებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოსწავლეთა მტკიცე და ღრმა ცოდნით აღჭურვის, მათი შემეცნებითი ინტერესების განვითარების, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის მეთოდების სრულყოფის საკითხები. საბჭოთა სკოლის გამოცდილებით შეძენილი და შემოწმებული ყოველივე საუკეთესო შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ, გავამდიდროთ სასწავლო პროცესი სწავლების უფრო ეფექტიანი, პროგრესული მეთოდებით. [illegible] ეფექტიანი, [illegible] ორგანიზაციას. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით [illegible] ზოგადსაგანმანათლებელ [illegible] ბითი [illegible] გაუმჯობესებას.

უაღრესად საჭიროა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. უფრო სრულად გამოვიყენოთ ოჯახის უდიდესი აღმზრდელობითი პოტენციალი. ამისათვის უნდა განვახორციელოთ მშობელთა მუდმივი პედაგოგიური დახმარების ორგანიზაციისა და საკუთარი შვილების აღზრდა-განათლებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

დასასრულ მ. ვ. ზიმიანინი შეეხო მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციების ამოცანებს და მათს როლს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

(საკდესი).

გაიმართა არჩევნები

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 12 ანაპის 414-ე დივიზიის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 12 ანაპის 414-ე დივიზიის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,98 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 12 ანაპის 414-ე დივიზის საარჩევნო ოლქში არჩეულია **შოთა ვარლამის ძე გორგოძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის № 62 დოლიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის № 62 დოლიძის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,98 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 62 დოლიძის საარჩევნო ოლქში არჩეულია **კონსტანტინე კონსტანტინეს ძე აბულაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მცხეთის რაიონის № 100 წეროვნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები მცხეთის რაიონის № 100 წეროვნის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 100 წეროვნის საარჩევნო ოლქში არჩეულია **მიხეილ ივანეს ძე წიკლაური** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. გორის № 116 ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ გორის № 116 ლენინის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 116 ლენინის საარჩევნო ოლქში არჩეულია **დავით გიორგის ძე ჩუბინიშვილი** — საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის რაიონის № 136 აწყურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ახალციხის რაიონის № 136 აწყურის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 136 აწყურის საარჩევნო ოლქში არჩეულია **შალვა გრიგოლის ძე შანიძე** — საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წალკის რაიონის № 158 ბედიანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები წალკის რაიონის № 158 ბედიანის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 158 ბედიანის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ოსიპოვი** — საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების თიანეთის რაიონის № 192 თიანეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები თიანეთის რაიონის № 192 თიანეთის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 192 თიანეთის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ზურაბ ალექსანდრეს ძე ტუშური** — საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლაგოდეხის რაიონის № 215 ბაისუბნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ლაგოდეხის რაიონის № 215 ბაისუბნის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 215 ბაისუბნის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ომარ თეიდორეს ძე მაისურაძე** — საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ჭიათურის № 246 ზოდის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ ჭიათურის № 246 ზოდის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 246 ზოდის საარჩევნო ოლქში არჩეულია **დამირ ვასილის ძე მანჯგალაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მახარაძის რაიონის № 315 ბახვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები მახარაძის რაიონის № 315 ბახვის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 315 ბახვის საარჩევნო ოლქში არჩეულია **როდენ ბენიამინის ძე მეტარნიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზუგდიდის რაიონის № 335 დარჩელის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ზუგდიდის რაიონის № 335 დარჩელის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 335 დარჩელის საარჩევნო ოლქში არჩეულია **არმაზ რომანოზის ძე სარენბლიძე** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზუგდიდის რაიონის № 338 ნარაზენის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1986 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ზუგდიდის რაიონის № 338 ნარაზენის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 338 ნარაზენის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ვალერიან როსტომის ძე ასათიანი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

(საკინფორმი)

ქვემოთ ქვეყნდება სხვადასხვა საფეხურის საბჭოების აღმასკომების მუშაკების, დეპუტატების წინადადებები, სურვილები და რეკომენდაციები, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საბჭოების საქმიანობის გარდაქმნის თაობაზე გამოითქვა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის პასუხად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

რევაზ ქემოკლიძე,

თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

—პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია მანქანათაშენებელი კომპლექსის ენერგიული განვითარების საჭიროება, რაც თვით დროით არის ნაკარნახევი. ამ თვალსაზრისით ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ახალი თაობის, და, უწინარეს ყოვლისა, რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების წარმოების ათვისების მნიშვნელობაც. სწორედ მათ გამოშვებას ითვისებს ჩვენი გაერთიანება, რომელსაც ბოლო ხანს სამართლიანად აკრიტიკებდნენ წარმოების ნელი გარდაქმნის, პროდუქციის არცთუ ისე მაღალი ხარისხის გამო. ახლა მდგომარეობა თუმცაკი ნელა, მაგრამ მაინც სწორდება.

მაგრამ რიცხვული პროგრამული მართვის ახალი ჩარხების რეალიზაციის დროს სხვა პრობლემას გადავაწყდით. ზოგიერთი საწარმო არ ჩქარობს მათს შეძენას. და ეს გამოწვეულია არა მათი ხარისხით, არამედ მომსახურე პერსონალის ნაკლებობით. როგორც ჩანს, ჩვენმა სამაზო № 6 პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმა შესაბამისად უნდა მოახდინოს სასწავლო პროგრამის კორექტირება და უყურადღება გაამახვილოს ისეთი სპეციალიტეტების მომზადებაზე, რომლებსაც შეუძლათ ერთდროულად რამდენიმე რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხის მომსახურება. და აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან რაიონული, საქალაქო საბჭოების შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა. ამასთან, მათ არა მარტო უნდა აღძრან საკითხი, არამედ კონტროლიც გაუწიონ მას და პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტთან მჭიდრო კოორდინაციით მიაღწიონ ამ საარსებო ამოცანის სათანადო გადაწყვეტას.

მიხეილ კალინინი,

ამერიკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სავაგონო უბნის მუშა, ხოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი:

— ჩვენ შევეჩვიეთ გაზეთებში და განცხადებების დაფებზე გამოქვეყნებულ გრძელ სიებს და იმ პროფესიათა მუშებისა და სპეციალისტების ჩამოთვლას, რომლებაც უაღრესად სჭირდება ამა თუ იმ საწარმოს. მაგრამ რამდენად მოკლე იქნებოდა ეს სიები, იმავე საწარმოებში რომ ბეჯითად იბრძოდნენ ტექნიკური პროგრესისათვის, მოწყობილობის მაქსიმალური გამოყენებისა და მუშაობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე, სესიებზე, არაერთხელ განხილულა ეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება ქარხნებსა და ფაბრიკებში ხელოვნ შრომის მოცულობის შესამცირებლად ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერების საჭიროებას. მაგრამ ეს საკითხი უცაბედ ვერ გადაწყდება, საჭიროა შეიმუშავებითი ძიება, მუშებისა და ინჟინრების ინიციატივა.

ამიტომ წინადადებას ვიძლევი, რომ საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ძირძნობ დეპუტატთა ჯგუფები პირობითი სახელწოდებით „ძიება“, რომლებიც იმუშავებდნენ მხოლოდ და მხოლოდ საწარმოებში ხელის შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე. მაგალითისათვის შემიძლია ვთქვა, რომ გუდაუთის რაისაბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა ბევრი რამ გააკეთა, რათა ადგილობრივ ავტოსარემონტო ქარხანაში ხალხს შრომა ეხალისებოდეს.

მირიდ ავიძბა,

გუდაუთის რაიონის ჯირხვის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— ხარაზიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ჯირხვის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობს, განვლილ ხუთწლედში მილიონერი გახდა. თვით სასოფლო საბჭომ კი 1985 წელს გაიმარჯვა რაიონის სასოფლო საბჭოებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჯილდოდ მიიღო გუდაუთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის წითელი დროშა. სოფელში არ არის არც საზოგადოებრივი წესიგიერ დამრეკვეკი, არც მუქთახორა ახალგაზრდობა. სოფლის მშრომელთა წარმატებები მკვიდრ საძირკველს ემყარება.

ეხმაურებიან რა დღის მოთხოვნებს, სასოფლო საბჭო, მისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები ებრძვიან ლოთობას, ხალხმავალი ქორწილების, ძვირად ღირებული ქელეხების გადახდას. ეს ბრძოლა უწინარეს ყოვლისა პროფილაქტიკური ხასიათისაა. ხოლო იმათ მიმართ, ვისაც არ სურს დროის მოთხოვნის შეგება (ასეთები კი, სხვათა შორის, სულ უფრო ნაკლები არიან), კანონის ძალას ვიყენებთ.

ამასთან დაკავშირებით შემომაქვს წინადადება, რომ ტერიტორიულ ორგანიზაციებში არ განიხილებოდეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და არ ნაწილდებოდეს საპრიზო ადგილები სასოფლო საბჭოს, რამ დეპუტატთა მონაწილეობის გარეშე, რომლებმაც იკისრეს სოფლად შრომის, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვა. ხალხის რჩეულები ხომ უშუალოდ ადევნებენ თვალს ყოველი თანასოფლელის ცხოვრებას.

გული კაკალაძე,

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

— ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იღებს ბევრ წინადადებასა და შენიშვნას, რომლებიც მოწმობენ საქმის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში, მშრომელთა საყოველთაო საზრუნავს რომ ეხება. ობიექტურ სიძნელეთა გვერდით იშვიათი როდია ფორმალური მიდგომა ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრივ, როცა მას არ ძალუძს ან არ სურს ყურად იღოს ხალხის მოთხოვნები თუ გასაჭირი. სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს მოსახლეობის კომუნალურ, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებას. ჯერიანი წესრიგი არ არის ქალაქებში ბათუმსა და ქობულეთში მძღვანელობა და კონტროლი, ყურადღებით მოვეკიდოთ შესრულების შემოწმებას. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მითითებებიდან სათანადო დასკვნები გამოვვაქვს.

ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი საფუძვლიანად განიხილეს რაიონულ თათბირზე, რომელიც პარტიული, საბჭოთა აქტივისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით გაიმართა. დასახეს მდგომარეობის გაუმჯობესების, საქმის ვითარების არსებითად გარდაქმნის კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა და მკაცრი კონტროლი დაწესდა მის შესრულებაზე. დადგენილება თავიანთ კრებებზე განიხილეს აგრეთვე პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ამ საკითხზე საფუძვლიანი მსჯელობა გაიმართა სასოფლო ყრილობებზე, რომლებიც დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საკითხებს განიხილავენ. ასეთ კრებებსა და ყრილობებზე გამოუსწორებელ მუქთახორებსაც იწვევენ, რათა მათ თვენან ხალხის წინაშე, როდემდე აპირებენ განაგრძონ მოლიპული გზით სიარული. ამ პრაქტიკას კარგი შედეგი მოჰყვა. ბევრმა უქნარამ დადო ჰირობა, რომ ჩაებმება შრომაში და სიტყვა კიდეც შეასრულა. ადგილებზე საწარმოთა ხელმძღვანელები მათ ურჩევენ შესაფერის სამუშაოს.

დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საკითხებს უფრო სისტემატურად და საქმიანად განიხილავენ პარტიის რაიკომის ბიურო, რაისაბჭოს აღმასკომი. ახლახან რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა, მაგალითად, მუხრანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა ამ მიმართულებით და მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისადმი დაწესებულია მკაცრი კონტროლი.

ტომატიზაციის საკითხებზე. მაგალითისათვის შემიძლია ვთქვა, რომ გუდაუთის რაისაბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა ბევრი რამ გააკეთა, რათა ადგილობრივ ავტოსარემონტო ქარხანაში ხალხს შრომა ეხალისებოდეს.

მირიდ ავიძბა,

გუდაუთის რაიონის ჯირხვის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— ხარაზიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ჯირხვის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობს, განვლილ ხუთწლედში მილიონერი გახდა. თვით სასოფლო საბჭომ კი 1985 წელს გაიმარჯვა რაიონის სასოფლო საბჭოებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჯილდოდ მიიღო გუდაუთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის წითელი დროშა. სოფელში არ არის არც საზოგადოებრივი წესიგიერ დამრეკვეკი, არც მუქთახორა ახალგაზრდობა. სოფლის მშრომელთა წარმატებები მკვიდრ საძირკველს ემყარება.

ეხმაურებიან რა დღის მოთხოვნებს, სასოფლო საბჭო, მისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები ებრძვიან ლოთობას, ხალხმავალი ქორწილების, ძვირად ღირებული ქელეხების გადახდას. ეს ბრძოლა უწინარეს ყოვლისა პროფილაქტიკური ხასიათისაა. ხოლო იმათ მიმართ, ვისაც არ სურს დროის მოთხოვნის შეგება (ასეთები კი, სხვათა შორის, სულ უფრო ნაკლები არიან), კანონის ძალას ვიყენებთ.

ამასთან დაკავშირებით შემომაქვს წინადადება, რომ ტერიტორიულ ორგანიზაციებში არ განიხილებოდეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და არ ნაწილდებოდეს საპრიზო ადგილები სასოფლო საბჭოს, რამ დეპუტატთა მონაწილეობის გარეშე, რომლებმაც იკისრეს სოფლად შრომის, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვა. ხალხის რჩეულები ხომ უშუალოდ ადევნებენ თვალს ყოველი თანასოფლელის ცხოვრებას.

გული კაკალაძე,

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

— ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იღებს ბევრ წინადადებასა და შენიშვნას, რომლებიც მოწმობენ საქმის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში, მშრომელთა საყოველთაო საზრუნავს რომ ეხება. ობიექტურ სიძნელეთა გვერდით იშვიათი როდია ფორმალური მიდგომა ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრივ, როცა მას არ ძალუძს ან არ სურს ყურად იღოს ხალხის მოთხოვნები თუ გასაჭირი. სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს მოსახლეობის კომუნალურ, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებას. ჯერიანი წესრიგი არ არის ქალაქებში ბათუმსა და ქობულეთში

უკვე თვეზე მეტია, რაც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებმა სამუშაოდ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბაღ-ვენახებსა და ველმინდვრებს მიაშურეს.

მუყაითი, ენერგიული შრომით თავი ისახელეს თბილისის 72-ე და 68-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. ქარელის რაიონის სანერგე საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ემადლიერებიან მათ. მოსწავლეებმა 7 ტონა კურკოვანი ხილი დაკრიფეს, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეურნეობის სამუშაოებში. ისინი გამომუშავებულ თანხას მთლიანად გადარიცხავენ ჩერნობილელთა დახმარების ფონდში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: 68-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნინო შელია; 72-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. კომენსკი აღრიცხავს მოსწავლეთა ნამუშევარს.

ჯ. ლომაძის ტექსტი და ფოტო.

არც ერთი მუქთახორა — ჩვენ გვერდით!

საკუთარ თავსაც მცდრობენ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამასწინათ განიხილა რესპუბლიკაში მუქთახორობასთან ბრძოლის მდგომარეობა და არადამაკმაყოფილებლად ცნო მუშაობა, რომელსაც სხვა რეგიონებთან ერთად მცხეთის რაიონში ეწევიან.

უნებისყოფო ბიჭი თავიდანვე ასცდა ცხოვრების სწორ გზას. სკოლაში ძნელად აღსაზრდელად ითვლებოდა. არასრულწლოვანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა და განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა. თუმცა ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, კვლავაც ახალი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ „ქეთილი ძიების“ წყალობით ამჯერადაც ვადაზე ადრე განთავისუფლდა ჰატიმრობიდან, დაბრუნდა მცხეთაში და სამუშაოზე მოწყობა ფიქრადაც არ მოსვლია. ამაზე თავი არ შეუწუხებიათ არც შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებს, რომელთაც ეკისრებოდათ მისადმი ადმინისტრაციული ზედამხედველობა. დამნაშავე, თავს ლაღად გრძნობდა და თანდათან იღვიძებდა მასში ბოროტული ინსტინქტი.

ეს არამზადა მოსესტოვი გახლდათ. არაკაცმა აწიოკა რამდენიმე ოჯახი, თაღლები ჩააცცა დედებს, დააქვრივა ცოლები, დაობლა შვილები.

მუქთახორობა ბოროტების წყაროა, ხოლო მუქთახორობასთან ბრძოლა პოტენციური დამნაშავეა. ნთქვამის დასადასტურებლად მცხეთის რაიონში ერთბაშად რამდენიმე ფაქტს დაგისახელებენ. მუქთახორები რომ იყვნენ, სწორედ იმიტომ გახდნენ ავაზაკი მკვლელები ძიძიშვილი, გულიევი, ძომძანაშვილი, რომლებსაც საკადრისად მიეზღათ, მაგრამ დაღუპულ უდანაშაულო ადამიანებს ვერაფერი უშველეს. მუქთახორობამ აქციო სისხლის სამართლის დანაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

ცხოვრების ორი ფურცელი

სერგო სიხარულისაგან აღელვებული. ბინაში ჯდომა აღარ შეძლია. ტოვებს სახლს, რომელიც ესოდენ დიდი ბედნიერება მოუტანა მას... დიდებული პარიზის ქუჩებში ცივი ქარი ფათარეშობს. ნათელი სახე, მალალი შუბლი, კოხტად დაყენებული ულვაშები, მღელვარე ლამაზი თვალები, მაგნიტური ძალით რომ იზიდავდა მნახველს.

...ია, გაიარა თავისუფლების მოედანი, ხიდი... მას უნდა მოედანზე ამ ხიდზე ყოველი გამვლელი შეეროს და ხმამაღლა უთხრას: „...ე ვნახე ლენინი... გესმის, ვნახე ილიჩი...“ ამოიღო ჯიბიდან პატარა ფოტო... გააჩერა გამვლელი, პატარა ფოტოს მოკიდებისას თითქოს ... ალოდ, გულმხურვალედ ჩურჩულით უთხრა: „გესმის, ვნახე ილიჩი...“.

...ერე გვიანობამდე არ ქრება მის ოთახში შუქი. იგი წერს წერილს და გზავნის ბაქოში. ამ წერილში სერგო თავის ამხანაგებს უთხრავს ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან შეხვედრის პირველ თვალთახედვებს. აი სტრიქონები ამ წერილიდან: „გუშინ 12 საათსა და 15 წუთზე ჩამოვედი პარიზში. ... ...ემჭონდა ლ-ის მისამართი... შეიმ...ეგება მისი მეუღლე... და საკმაოდ გულთბილად მიმიღო.

...რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა თვითონ ლენინი.

...ბაქოში წუთითაც არ გაგრძელებენებს, რომ საქმე გაქვს ისეთ ადამიანთან, რომელიც მილიონი თავით მაღლა დგას შენზე. პირველი შეხვედრისთანავე თითქოს მთელი სულით და გულით გეხვევა.

...ბასთან დაერჩი 3-4 საათს. ...ვალ ბრობდით ყველაფერზე — ...ბაზე, ბაქოზე, კავკასიაზე და ა.შ. შემდეგ გამომნახავს ოთახი... და იქ მომთავსებს“.

...პარტიულ სკოლაში გამართულ 147 ლექციიდან 56 ლენინმა წაიკითხა. ლექციები წაიკითხეს აგრეთვე ნიკოლოს სემაშკომ, ინესა ...ერმანდმა, ანატოლი ლუნაჩარსკიმ და სხვებმა.

...სკოლაში ლექციებსა და საუბრებთან ერთად ტარდებოდა სემინარული მეცადინეობ ებიც. „...ახლა, — იგონებდა შემდეგ სერგო ორჯონიკიძე, — ხელი მოკიდე ...ატარა რეფერატის მომზადებას — რა არის პროფკავშირი და როგორი უნდა იყოს იგი, ...იგი ნეიტრალური უნდა იყოს, ...პარტიული. მეცადინეობებზე ...ალობთ საგაზეთო სტატიებისა ...ორესპონდენციების წერას, ...ავლის ლენინის მეუღლე“.

...პარტიული სკოლის მდივანი, ...ოტმობრის სოციალისტური ...ევოლუციის შემდეგ კი ჩვენ ...ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის პირველი სახალხო კომისარი ...ოლოზ სემაშკო თავის მოგონებაში წერს: „... სკოლაში თავიდან ყურადღება მიიქციეს ვლადიმერმა (ი. ს. ბელოსტოკი) და სერგომ (გ. ორჯონიკიძე), განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელმა. ...ეს გაჩლდათ ახალგაზრდა ქართველი კაცი, ლამაზი და ტანადი, რომელიც გვაკვირვებდა ცოდნის შეძენის დიდი წყურვილით და საკმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით... ყოველ მეცადინეობას იგი უდიდესი სერიოზულობით ეკიდებოდა, ლექტორებთან დიალოგს საუბრობდა, რომ გაერკვეოდა ყველა მისთვის გაუგებარი საკითხი...

...სკოლადამთავრებულები იმ კადრებს შეადგენდნენ, რომლებიც კონფერენციის მოსამზადებლად რუსეთში გაიგზავნენ. სამშუბაროდ, ბევრი მათგანი დაიპატიმრეს რუსეთში, სერგომ კი უდიანესი შუბლით გასწია. როგორც ...ბილია, იგი იყო მომხსენებელი ...ონფერენციაზე ორგანიზაციებ...ოთხებზე“.

...მაგრამ სერგო ორჯონიკიძე ...ულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა: ლენინმა მას მეტად დიდი და პასუხსაგები დავალება მისცა: გამგზავრებულიყო რუსეთში და გაეწია სათანადო მუშაობა სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მომზადება-მოწვევისათვის.

სერგომ ბრწყინვალედ შეასრულა ბელადის დავალება. შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია — სრულიად რუსეთის VI პარტიული კონფერენციის მომზადების პრაქტიკული ცენტრი.

...გავა ცოტა დრო და ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მოკლედ, მაგრამ ამომწურავად დაახასიათებს ორჯონიკიძეს, როგორც უაღრესად ერთგულ და საქმიან რევოლუციონერს.

ასრულებდა რა ლენინის დავალებებს, ორჯონიკიძემ შემოიარა: კიევი, ხარკოვი, ლუგანსკი, პოლტავა, ხერსონი, ოდესა, ნიკოლაევი, შემდეგ კი დონის როსტოვი, ბაქო და თბილისი...

იგი იატაკქვეშელ ორგანიზაციებს აცნობდა პარტიაში არსებული მდგომარეობის, სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის და სრულიად რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მნიშვნელობის ლენინურ შეფასებას.

1911 წლის ოქტომბრის დამლევს ორჯონიკიძე ჩადის პარიზში და როგორც რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ხელმძღვანელი საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის უმრავლესობის სხდომაზე აკეთებს მოხსენებას რუსეთის კომისიაში სრულიად რუსეთის VI პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის მიმდინარე მუშაობის თაობაზე.

1911 წლის 24 დეკემბერს პრაღაში კონფერენციის დელეგატთა პირველი ჯგუფი ჩავიდა. 1912 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ლენინი ეწვია პრაღას. კონფერენციის დელეგატებს უდიდესი სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ პრაღაში ჩასაწევად. დელეგატები სასტუმრო „ბელვედერში“ მოთავსდნენ. მაგრამ შემდეგ იქ ცხოვრება მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და პრაღელ შუშათა ბინებში განაწილდნენ.

ცხოვრების ორი ფურცელი

...რუსეთის სოციალ-დემოკრატიული შუშათა პარტიის VI სრულიად რუსეთის კონფერენცია გაიმართა 1912 წლის 5-17 იანვარს. კონფერენციას გადამწყვეტი ხმის უფლებით 14 დელეგატი, ხოლო სათათბირო ხმის მქონე 4 დელეგატი ესწრებოდა. სულ 23 სხდომა გაიმართა.

კონფერენციის სხდომები პატარა შენობაში — ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბჭოს სახლის უკანა ფლიგელში მიმდინარეობდა. ოთახი, სადაც სხდომები იმართებოდა, სადად იყო მოწყობილი: იდგა რამდენიმე უბრალო მაგიდა, სკამები, წიგნების კარადა კარლ მარქსის ბიუსტითურთ. ამ ოთახის მაკეტი ამშენებს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ექსპოზიციას.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის 1953 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით იმ სახალხო სახლის შენობაში, სადაც ეს ისტორიული კონფერენცია მოეწყო, გაიხსნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მუზეუმი. ოთახი, რომელშიც პარტიული კონფერენციის სხდომები იმართებოდა, იმავე სახითაა აღდგენილი, როგორიც იგი 1912 წელს იყო.

კონფერენცია ვ. ი. ლენინმა გახსნა. იგი მიესალმა დელეგატებს, განსაზღვრა კონფერენციის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები. კონფერენციის მთელი მუშაობა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით, ერთიანობისა და დარაზმულობის ვითარებაში მიმდინარეობდა. ლენინი თავმჯდომარეობდა მის სხდომებს, აკეთებდა მოხსენებებს და ინფორმაციებს. ლენინი არა მარტო აღიარებული ხელმძღვანელი, არამედ კონფერენციის სული და გული იყო.

პირველ სხდომაზე მოისმინეს ორჯონიკიძის მოხსენება კონფერენციის მომზადები რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შუშობის შესახებ. მოხსენების გამო კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში უწინარეს ყოვლისა აღინიშნა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობა.

თავის ოცდამეერთე სხდომაზე პატარა ოფიციალურ ... ...ეფერატის მომზადებას — „...ეს ...ეფერატი ...ეფერატ...ეფერ...ეფ...ეფ...ეფ

ხალხის სამსახურში

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას დაარსებიდან ორმოცდაათი წელი შეუსრულდა

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდანვე ზრუნავდა, მაგრამ სახელმწიფო ავტოინსპექციის დაბადების დღედ 1936 წლის 3 ივლისს თვლიან, როცა გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება. ამ დოკუმენტით დამტკიცდა პირველი დებულება სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შექმნის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური მილიციის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში. განისაზღვრა მისი ძირითადი ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი და ჩვენს ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა.

ამავე პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიქმნა' სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია.

ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გადავაყოლოთ წარსულის ფურცლებს. მენშევიკურმა მთავრობამ მეტად პრიმიტიული საგზაო ქსელი და ავტომეურნეობა დაგვიტოვა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშურ-გლეხურ მილიციას დაეკისრა ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უშიშროების დაცვა. 1921 წლის 26 თებერვალს რეკომის დეკრეტით დაინიშნა განსაკუთრებული კომისარი, რომელსაც დაეკისრა არსებული ავტომანქანების აღრიცხვა და დანომვრა. ტრანსპორტის სიმცირის მიუხედავად საქართველოში მაინც ხდებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და ამიტომ რეკომმა გამოსცა კატეგორიული ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ვინც დაარღვევდა მოძრაობის წესებს, გადაეცემოდა ტრიბუნალს და კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა. 30-ან წლებში საგრძნობლად იმატა ავტოტრანსპორტმა, გამოჩნდა სამამულო წარმოების ავტომანქანები. მათი მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭირო გახდა სათანადო წესებისა და ნორმატივების შემოღება. ამასთან დაკავშირებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების შესახებ, დაწესდა ზღვრული სიჩქარეები.

1934 წლის ნოემბერში შეიქმნა ცენტრალური საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოს სახელმწიფო ინსპექცია. სახკომსაბჭომ ინსპექცია გადასცა მუშურ-გლეხურ მილიციას. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით დამტკიცდა სახავტოინსპექციის დებულება, ხელმძღვანელობა და შტატი.

დიდი სამამულო ომის მძვინვარე წლებში საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექცია რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად ძალ-ღონის დაუზოგავად, თავდადებით შრომობდა იმ უანელესი პერიოდის მთავარი ამოცანის შესასრულებლად — „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“. ფაშისტური გერმანიის შემოსევის პირველი დღეებიდანვე ავტოინსპექციის მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს წითელი არმიის საჭიროებისათვის ავტოტრანსპორტის მობილიზაციის საქმეში. ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

ომის შემდგომ წლებში რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციამ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად დიდი მუშაობა გასწია სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. მის მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული არა მარტო საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფა, არამედ საჭირო ტვირთის დროული მიწოდებაც.

მას შემდეგ მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა. გზებზე და ქუჩებში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილური სადარაჯოზე საერთოსახალხო საქმისათვის თავდადების, უანგარო ერთგულების მრავალი თვალსაჩინო მაგალითი წარმოჩნდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. რესპუბლიკის ავტოპარკის, ინდივიდუალური სარგებლობის ავტომანქანების რაოდენობის გამუდმებული ზრდის პირობებში არნახულად იმატა მოძრაობის ინტენსიურობამ, ჯართუოდა მისი ექსპლოატაციისადმი კონტროლიც. ბენზებრივია, პარალელურად გაიზარდა სახელმწიფო ავტოინსპექციის პასუხისმგებლობაც ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა სახელმწიფო ავტოინსპექცია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის ზუსტი, ოპტიმალური მოწესრიგების საკითხებს, ამოქმედდა ტელემექანიკაზე, ფოტოელემენტებსა და რადიოტექნიკაზე დაფუძნებული რეგულირების ახალი ხელსაწყოები და ავტომატური საშუალებები, საგრძნობლად გაუჯობესდა საგზაო ქსელი, გაიზარდა ავტომანქანების საიმედოობა, მუდმივი ყურადღება ექცევა ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სხვადასხვა საორგანიზაციო ტექნიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა საკითხთა კომპლექსურ გადაწყვეტას. მაგრამ უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმთავრესად მაინც საგზაო მოძრაობის მონაწილეებზე — მძღოლებსა და ქვეითებზეა დამოკიდებული.

მძღოლი, ქვეითად მოსიარულე, ავტოინსპექტორი საგზაო მოძრაობის მთავარი ფიგურები არიან. მათ შორის აუცილებელია სუფევდეს სრული ურთიერთგაგების ატმოსფერო, იმის ღრმა გაგება, რომ ისინი ემსახურებიან ერთ საერთო მიზანს — უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ეს უეჭველად, მნიშვნელოვანი და, უყოყმანოდ ვიტყვი, გადამწყვეტი ფაქტორი გახლავთ. ერთობლივი ძალებით ყოველივე უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ ავტომანქანამ საფრთხე არ შეუქმნას ყველაზე ძვირფასს, რაც გაგვაჩნია — ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანრთელობას.

ამ ბოლო ხნის ქმედითი ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკაში საგრძნობლად გამოიკვეთა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა კლების სასიკეთო ტენდენცია. რესპუბლიკაში მომხდარი ავტოავარიების ახლანდელი მაჩვენებლების გასულ წლებთან შედარება კლების არცთუ მცირე პროცენტულ განსხვავებას გვაძლევს. მართლაც, შესაძლოა, ასეთი ციფრობრივი მაჩვენებლები ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისათვის კარგი განწყობილების საბაბად იქცეს, მაგრამ ჩვენი მუშაობის სფერო და სპეციფიკა, მოგეხსენებათ, სხვაგვარია.

ხშირად ხდება ხოლმე რომ ეგრეთ წოდებულ „მრგვალ თარიღებთან“ დაკავშირებით უწინარესად მხოლოდ მიღწევებსა და წარმატებებზე ლაპარაკობენ, მაგრამ როცა საქმე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას ეხება, როცა გზებზე თუნდაც ერთი ავტოავარია ხდება, ამისათვის ნამდვილად მეტად ცოტა დრო გვრჩება. აუცილებლად მოსაგვარებელი, განსასჯელი და სერიოზული საფიქრალ-საზრუნავი, როგორც ალვინშნეთ, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ვთქვათ, ის, რომ ჯერ კიდევ არსებობს ანტაგონიზმი მძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეთა შორის. საკონფლიქტო ნაკადების ურთიერთობა გზებსა და ქუჩებში მეტად დაძაბულია და გაუმჯობესების სურვილს აღუძრავს ყოველ გულშემატკივარ ადამიანს. ამ ურთიერთობას ართულებს ისიც, რომ რატომღაც საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მძღოლებსა, როგორც პროფესიასა, არასერიოზულ საქმიანობათა რანგს მიაკუთვნებს, და ეს მაშინ, როცა საავტომობილო ტრანსპორტი წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობაში.

მძღოლობა დღეს მეტად რთული, საპატიო მუშური პროფესიაა და საზოგადოებრივი აზრის სხვაგვარ დამოკიდებულებას იმსახურებს.

სათანადო დონეზე არ დგას აგრეთვე რესპუბლიკაში მძღოლთა მომზადების, მოსწავლეთათვის საგზაო მოძრაობის წესების სწავლების საკითხი. ამ მხრივ მუშაობის ძირეული გარდაქმნა გვმართებს.

დიდ სირთულეს ქმნის საგზაო მოძრაობაში საჭესთან ახალგაზრდობის სიმრავლე, რომლებსაც არ გააჩნიათ მძღოლობის საკმაო გამოცდილება. მშობლები შვილებს უძენენ და ანდობენ სწრაფმავალ ავტომანქანებს, და, ამგვარი საქციელი, არცთუ იშვიათად, ზოგიერთს მთელი სიცოცხლის მანძილზე სავალალოდ და სანანიებლად რჩება.

ჯერ კიდევ არ დამყარებულა სათანადო წესრიგი სახელმწიფო ტრანსპორტზე. ხშირია შემთხვევები, როცა ხელმძღვანელთა უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის გამო ზოგიერთი არაკეთილსინდისიერ მძღოლს საშუალება ეძლევა თავის ნებაზე ატაროს სახელმწიფო ავტომანქანა და უშრომელი შემოსავლის წყაროდ აქციოს იგი.

ცხადია, საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზაციის საქმეშიც ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები, არცთუ იშვიათად ავტოინსპექცია ვერ იჩენს ჯეროვან თანამმდევრობასა და პრინციპულობას წესრიგის დამრღვევთა მიმართ. კვლავ ფიანა პლანზეა წამოწეული ავტოინსპექციის რიგების შემოწმებული, პატიოსანი, ერთგული, კულტურული კადრებით განმტკიცების პრობლემა. რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონებში სახელმწიფო ავტოინსპექციის აპარატები არადამაკმაყოფილებად ეწევიან საქმიანობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის, მოკლებულია ქმედითობას საზოგადოებრივ ფორმირებათა საქმიანობა და სხვა.

პრობლემები უამრავია, მაგრამ ვიმედოვნებთ, ერთობლივი ძალისხმევა საშუალებას მოგვცემს ოპტიმალურად შეეხებოდთ ავტომობილიზაციის მომავალს, აღმოვფხვრათ მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები.

საბჭოთა ხალხმა 50 წლის წინ შექმნა სახელმწიფო საავტომობილი ინსპექცია, რომლის პირადი შემადგენლობა დღეს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობს.

ბ. ცინცაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი.

ᲒᲣᲨᲘᲜ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის **მედეა ჯაფარიძის** შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ჟვემოთ ვგვიდავთ თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძის წერილს მსახიობის შემოქმედების შესახებ.

...О, если бы в стихах отразилась хоть крупица вашей чудесной игры», — ამბობდა ანდრია ვოზნესენსკი მედეა ჯაფარიძის ოსტატობით აღტაცებული... თუ პოეტს უჭირს სიტყვით გამოხატოს თამაშის მშვენიერების არსი, გასაგებია, რა სრულქმნილებისათვის მიღწეულია მსახიობს თავის ხელოვნებაში.

თუ აუცილებელია ერთი სიტყვით გამოიხატოს მედეა ჯაფარიძის შემოქმედების ბუნება, ეს სიტყვა უნდა იყოს ჰარმონია. მისი სილამაზე მისივე სულიერი ღირსებების გამომხატველია. ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებულ ორსაფე პორტრეტში სწორედ ეს სულიერი და ფიზიკური მთლიანობაა გადმოცემული. მსახიობის თვალებში ღრმა ფიქრთან ერთად მკრთალი სევდაც იკითხება, თითქოს იგი გრძნობდეს თავისი ხელოვნებისა და სილამაზის წარმავლობას და ამის გამო თავისი თავი კი არა, არამედ ჩვენ ვებრალებოდეთ. შთამომავლები მედეა ჯაფარიძეზე ამ პორტრეტებითა და ფოტოსურათებით (სადაც სახის ნაკვთები „შიგნიდანაა“ განათებული და კლასიკურ თვალს ქმნიან) იმსჯელებენ, ჩვენ კი საშუალება გვაქვს ვილაპარაკოთ მის ცოცხალ ხელოვნებაზე, რომელიც ჩვენივე დაუდეგრობის გამო მარადიული გვგონია და არ ვცდილობთ მისი სწრაფწარმავალი წამის „შეჩერებას“.

ამ ღვთაებრივი წამის შეჩერება თითქოს ქართულმა კინემატოგრაფმა სცადა და მიუხედავად ფირზე აღბეჭდილი მსახიობის მრავალი ღირსშესანიშნავი სახისა, ეკრანმა მაინც ვერ შეძლო მისი სულის მშვენიერების გადმოცემა. აქ იდუმალება იმაშია, რომ მედეა ჯაფარიძე, უპირველესად, თეატრის მსახიობია, რადგან მხოლოდ სცენას შეუძლია გვაგრძნობინოს მისი განუმეორებელი მომხიბვლელობა, ცოცხალი შემოქმედება და განცდების ის გრადაცია, რომელიც მის სულში მეყსეულად იბადება, რათა ჩვენ გადმოგვეცეს და მოგვაჯადოოს.

მსახიობის ოსტატობა ის არის, რომ იგი გვავიწყებს თავის სილამაზეს და მთელ ყურადღებას სცენაზე მოქმედი ადამიანისაკენ წარმართავს. მისი გმირები, რასაკვირველია, ატარებენ მისსავე პიროვნულ ნიშნებს, მაგრამ, ამავ დროს, აბსოლუტურად სხვანი არიან. აქ იმდენად გარეგნულ ცვლილებასთან კი არა გვაქვს საქმე, რამდენად სულისმიერ ქმნადობასთან, იმ წამთან, როცა მსახიობი სრულ შემოქმედებითს იქსტაზშია და თავისუფალია ყოველგვარი შებოჭილობისაგან. შესანიშნავად შენიშნა ბება ივანიცკაიამ — სცენის სიღრმიდან ავანსცენისაკენ მომავალ მედეა ჯაფარიძის ჯულიეტას, „ვიდრე საგდრეტად მუხლს მოიყრიდა, „ისე უბრწყინავდა სახე, თითქოს მან დაინახა ღმერთი, რომელიც ლოცავდა ყველას“... მხოლოდ რჩეულს შეეძლიათ „ღმერთის დანახვა“, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც ჭეშმარიტ შემოქმედებასთან ზიარება, როცა შენი სული ახალ არსებას წარმოშობს და სანეტარო სიხარულს მოჰფენს ორგვლივ ყოფნთ. მედეა ჯაფარიძის ჯულიეტას შემდეგ თეატრის სცენაზეც და ეკრანზეც მრავალი ჯულიეტა ბნეზავს, მაგრამ აღარასოდეს არ გაწმიცდია სიყვარულის ესოდენ გამანადგურებელი და ამავ დროს გამაცისკროვნებელი ძალა, რომელიც გაიძულებს შეხედო ქალს როგორც ბუნების გვირგვინს, რომლის მოსპობა სამყაროში სცარიელეს ტოვებს, ხოლო სულს ავსებს წარუხოცელი აღფრთოვანებით გამოწვეული მოგონებით. სიყვარული აქ გაგებული იყო არა მხოლოდ როგორც ქალწულის სულის ბედნიერი მდგომარეობა, არამედ როგორც ზნეობრივი სრულქმნილება, რომელიც სხვასაც სრულქმნილს ხდის. ამიტომაც ჯულიეტას (შეკსპირის „რომეო და ჯულიეტა“, რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი) საბედისწერო სიკვდილი აღიქმებოდა, როგორც თავად ბუნების შეცდომა, ტრაგიკული გაუგებრობა — არა მხოლოდ შეკსპირის დრამატურგიული სვლის თვალსაზრისით, არამედ უფრო ზოგადად, რადგან ჰარმონიის ასეთ რღვევას თვით ბუნება უნდა გამორიგებოდეს, თუკი მას სურს სილამაზისა და მშვენიერების შენარჩუნება.

გერონტი ქიქოძემ მ. ჯაფარიძის გულსუნდა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი) უფსკრულის პირზე ამოსული ყვავილს შეადარა. ამ შედარებას თუ განვაზოგადებთ მსახიობის ხელოვნებაზე საერთოდ, იგი მართლაც ჰგავს უფსკრულის პირას, ანუ სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე თამაშს. მედეა ჯაფარიძეს, მისთვის ეს საბედისწერო წამი, ჩვენთვის მარადიული სიხარულის სათაყვანებელ გაუხდია.

სიმართლის ერთგულება — შემოქმედების სათავე

მოქმედების სათავედ მას გაუხდია სიმართლის ერთგულება, სიმარდილი — არა სცენური ცხოვრების აზრით, არამედ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობით. თავის როლებით იგი ყოველთვის ამტკიცებს ადამიანის შემოქმედებითი საწყისის შეუპოვრობას, რწმენისა და იმედის ძალას. მას სწამს ქალის ბედნიერება და მისი სიმტკიცე — შერწყმული მიამტობასა და ეშმაკობასთან, ანიჭებს სცენურ გმირებს არა მარტო მრავალმხრივობას, არამედ იმ იდუმალებასაც, რომელიც იზიდავს და შეუცნობლად აკრთობს მამაკაცებს. მის გვერდით მამაკაცი ყოველთვის ამაღლებულად გრძნობს თავს.

თითქმის ყველა როლში იგრძნობა დინამიკა, გადახალისება, თვისობრივი გარდაქმნის პროცესი. ამ პროცესის შეგრძნება თვით შემოქმედებაა. მედეა ჯაფარიძე თავისი ქალისაგან ახალ ქალს ქმნის. მას უყვარს იმის ჩვენება, თუ როგორ გადაიქცევა გულუბრყვილო, მიმნდობი გოგონა გამჭრიახ და ყოველისშემძლე ქალად, რომელიც საბოლოოდ არ კარგავს მიამტობას. ეს მიამტობა ახლა მისი ბუნება კი აღარაა, არამედ ელემენტი ქალური კეკლუცობისა, მსუბუქი იარაღი გულთა მოსანადირებლად, ქალის არსებაში თანდაყოლილ ინტუიციასა და მიხვედრილობას (ვლის გონიერება და საკუთარი მშვენიერებით მოგვრილი სიამაყე, განათებული გრძნობათა სიღრმით ნაკითხულობით. მას გამომუშავებული აქვს სტილის ფაქიზი შეგრძნების უნარი. ყოფითს კომედიაში მრავალი გარეგნული დეტალით ამდიდრებს როლს, აქცენტი აღებული აქვს სწორედ იმ გარეგნულზე, ყოფაცხოვრებითი ელემენტების სიჭარბეზე. მაღალ კომედიაში კი (აქ უპირველესად ტრაგედიაში) ეს ელემენტი ერთ-ერთ ადგილზეა. ეს ელემენტი („პიგმალიონში“), ყვავილების გამყიდველი გოგონა, უხეში, დაუდევარი, ქარგოზე ბოლოკაბა, რომელიც ყოველ წინადადებაში ორჯერ მაინც ხმაურობს უხამს სიტყვას, ჩვენ თვალწინ, რაღაც ორიოდ საათში ხდება ბრწყინვალე ლედი.

კლეოპატრა გაცილებით რთული როლია. აქ ნაჩვენებია არა მარტო ბავშვის გადაქცევა ეგვიპტის დედოფლად, არამედ მრავალმხრივ უკუშექცევითი დეტალები; ჯერ კიდევ ბავშვში იგრძნობა მომავალი დედოფლის გამჭრიახობა და ძალაუფლების სიყვარული და უკვე დედოფალში — ყოფილი ბავშვის უშუალობა, სინორჩე და პატარ-პატარა კაპრიზები. პლასტიკურობა, სიმკვეთრე, გონების სინატიფე, ღრმა ინტელექტუალური ირონია, შეაცვლებული ხალისიან იუმორთან, კლეოპატრას აქცევს იმ მომხიბლავ ქალად, რომლის პიროსპირ უკვალვანესი კეისარიც კი ზოგჯერ იბნევა.

ჭეშმარიტად პატივისცემის ღირსია მსახიობი, რომელიც თავისი ხელოვნების საზღვრებს აფართოებს. აქ ჩანს სურვილი არა მარტო ოსტატობის ახალი გამოცდის, არამედ ღრმა სულიერი მოთხოვნილებაც. მ. ჯაფარიძის „პოეზის საღამოები“ და „იმპროვიზაციები განუხორციელებელ როლებზე“ (ეს თავისებური რეჟანში თანამედროვე რეჟისორებზე), სავსეა სულისშემძვრელი განცდითა და წარმოსახვის თამაშით, თანამედროვე პოეტების კითხვისას (გამდიდრებული პირადი მოგონებებით) მან წინ წამოსწია დრამატულ-ტრაგიკული ინტონაციები, რათა პოეზიის მშვენიერებასთან ერთად, სულის ამაღლებული ტკივილიც გვეგრძნო...

უმრავი როლია ნათამაშები ამ ორმოცი წლის მანძილზე და კიდევ მრავალი როლი ელოდება ახალ სცენურ სიცოცხლეს...

ნოდარ გურაბანიძე.



ᲡᲐᲑᲐᲭᲝ

სიკეთის ერთიანი ნაკადები

ᲛᲐᲠᲘ დღეც და მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება კეთილი ნების ასპარეზობანი, რომლის თეატრალიზებულ და მხატვრულ-სპორტულ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 21 ათასი კაცი. ეს უდიდესი კომპლექსური შეჯიბრება ხსნადასვა სახეობის სპორტში 20 ივლისამდე გასტანს. ძირითადი შეჯიბრებები გაიმართება მოსკოვში, ხოლო ტალინი და იურმალა შესაბამისად უმასპინძლებენ აფრონსნებსა და ჩოგბურთელებს. სპორტულ სარბიელზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ვიხილავთ ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, პოლონეთის, იტალიის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ათლეტებს. შეჯიბრებაში ძალებს სცდიან სსრ კავშირისა და ორმოცდაათზე მეტი ქვეყნის სმი ათასამდე საუკეთესო სპორტსმენი.

თვით სახელწოდება — კეთილი ნების ასპარეზობა ნათელს ხდის, თუ რა ხასიათი და მიზნები აქვს ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას, რომელიც თავისი მასშტაბით მხოლოდ ოლიმპიურ ასპარეზობებს ჩამოუვარდება. სპორტი რომ მშვიდობის მაცნეა, ცხოვრებამ უკვე კარგა ხანია დაადასტურა. იგი მართლაც დიდად უწყობს ხელს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის დაახლოებასა და დამეგობრებას, სპორტული თანამშრომლობის გაუმჯობესებას. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამგვარი სახის ეს პირველი სპორტული შეჯიბრება სრულიადაც არ უპირისპირდება ოლიმპიურ ასპარეზობებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ მშვიდობის წელს და ბუნებრივია, რომ უწინარესად იგი ხელს უნდა უწყობდეს დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

კეთილი ნების ასპარეზობასთან დაკავშირებულ არცთუ დიდი ხნის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე სსრ კავშირის სპორტსახკომისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა განაცხადა:

„საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენები უკანასკნელად ერთმანეთს 10 წლის წინ, მონრეალის ოლიმპიურ ასპარეზობაზე შეხვდნენ. სწორედ ამიტომ წამოიჭრა იდეა გამართულიყო მათი დიდი კომპლექსური შეჯიბრება, რომელზეც მოწვეული არიან სხვა ქვეყნების „ვარსკვლავებიც“. ბარშინელი მოვაწერეთ ორ დოკუმენტს, რომლებიც ეხება ამერიკელ სპორტსმენებთან ურთიერთობას: მემორანდუმს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სპორტული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შესახებ და შეთანხმებას მოგვიწყო კეთილი ნების ასპარეზობა — 1986 წელს სსრ კავშირში და 1990 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში“. მანვე აღნიშნა, რომ კეთილი ნების ასპარეზობა გამოხატავს ენერგიას იმ მოლაპარაკების სულისკვეთებას, შვეიცარიის ამ ქალაქში რომ გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა.

ხაზს ეუსვამთ, ეს შეჯიბრება არც დიდი და არც მცირე ოლიმპიადაა, თუმცა კეთილი ნების ასპარეზობასაც და ოლიმპიადასაც ერთი საერთო მიზანი აახლოებს — საუკეთესო სპორტული შედეგების მიღწევა და დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცება, ურთიერთგაგება ხალხებს შორის. იგი პირველად იმართება და იმითაც არის მიმზიდველი, რომ სწორედ კეთილი ნების შარავანდედითაა მოსილი. შეჯიბრების სახელწოდებას ხომ ერთი დიდმნიშვნელოვანი პრინციპი უდევს საფუძვლად — შეუთავსებლობის შეთავსება: ნები—ძალის, მოთხოვნის და სიკეთისა. ამრიგად, ადამიანის ნებით ყველაფერი სიკეთეს უნდა ემორჩილებოდეს და ამიტომ ამ ახალი სახის ასპარეზობას სადღეისო კამპანიად ვერ ჩავთვლით. ამიტომაც ყველამ თავისი წვლილი უნდა გაიღოს კეთილი ნების ასპარეზობათა ტრადიციად დამკვიდრებისათვის. ეს პრინციპი იქნება ჩაქსოვილი ასპარეზობათა საზეიმოდ გახსნის ცერემონიალზე, რომელიც 5 ივლისს ლუჟნიკში გაიმართება. სწორედ ეს აზრი გამოთქვა ასპარეზობათა საზეიმო გახსნის სცენარის ავტორმა და მთავარმა რეჟისორმა ლეონიდ მონასტირსკიმ. თუმცა ოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, მაგრამ ერთს ვიტყვით, რომ 5 ივლისს სალამოს ჩვენშიც და უცხოეთშიც მილიონობით მაყურებელს შესაძლებლობა ექნება ტელეეკრანებზე იხილოს მართლაც წარმტაცი თეატრალიზებული სანახაობა.

ჩვენს მკითხველებს უთუოდ აინტერესებთ საქართველოს სპორტსმენთაგან ვინ იქნება შეყვანილი საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში. სავარაუდო მონაცემები ასეთია: მზადების დარჩენილ დღეებში თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, ტრამვეს არავინ მიიღებს და სპორტული ფორმაც სათანადო ექნებათ ჩვენს სპორტსმენებს, მათი რიცხვი 17 მონაწილით განისაზღვრება. მძღეოსანთა შეჯიბრებაში გამოსვლის კანდიდატები არიან **მზია აზარაშვილი** და **ოლეგ სტრიჟაკოვი.** პირველი სპრინტერია, მან 100 და 200 მეტრზე უნდა სცადოს ძალები, სტრიჟაკოვი კი სტაიერია და 10000 მეტრზე რბენაში უნდა იასპარეზოს. თვით ის ფაქტი, რომ სტრიჟაკოვმა სულ ახლახან ძმები ზნამენსკეების მემორიალში პირველი ადგილი მოიპოვა, მიუთითებს, რომ სტარტზე უთუოდ გამოვა. ტრეკზე სპრინტერთა ზამთრის საერთაშორისო ჩემპიონატში გამარჯვებულს **ოთარ მჭედლიშვილს** კონლატსკოვში ელის ასპარეზობა. თანამედროვე ხუთვიდში ბოასპარეზეთა შორის აპირებენ თავიანთი ძალის გამოცდას თბილისელები **იგორ ბორზენკოვი** და **ვახტანგ იაგორაშვილი.** ერთსაც და მეორესაც ამ სახეობის სპორტის თაყვანისმცემლები კარგად იცნობენ. პირველი სსრ კავშირის ექს-ჩემპიონია, მეორემ კი 1985 წელს იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში იზეიმა გამარჯვება. თავისუფალ ჭიდაობაში ასპარეზობაში მონაწილეობის პრეტენდენტები არიან მსოფლიო ჩემპიონები **ლერი ხაბელოვი** და **დავით გობეჯიშვილი,** მოკრივეთა პაექრობაში მონაწილეობის პრეტენზია აქვს **ხვიჩა ხდრიანს,** ძიუდოში — **ლერი ნაკანს, კობა კურტანიძეს** და **მალხაზ ბერეულაშვილს.** სპორტულ ტენვარჯიშში — **ეკა ზეთურიძეს** და **ვლადიმერ გოგოლაძეს,** წყალტომაში — **გიორგი ჩოგოვაძეს.** მოსალოდნელია, რომ ხელბურთელ ვაჟთა ხაკრებში ითამაშებს **ალექსანდრე ანპილოგოვი,** ლატვიის ქალაქ იურმალაში ძალები უნდა სცადოს ჩოგბურთელმა **ლელა მესხმა,** ხოლო ტალინში აფროსანმა **გურამ ბიგანიშვილმა.**

Ჯ. ᲔᲜᲣᲫᲘᲫᲔ.

სატურნირო ორბიტა

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები საქართველოს კოლექტივებმა ასეთი შედეგებით დაამთავრეს: ბათუმის „დინამომ“ ლვოვში ადგილობრივ ასკ „კარპატთან“ ფრედ დაამთავრა მატჩი — 2:2, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ“ შინ დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი“ — 3:0. 19 ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერთა ხუთეულში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: რიგის „დაუგავა“— 30 ქულა, ცსკა — 29, ლანჩხუთის „გურია“ — 26, დუშანბეს „პამირი“ — 24, ვოლგოგრადის „როტორი“ — 23. ბათუმის „დინამო“ 21 ქულით მეათე ადგილზეა.

ᲠᲘᲒᲘ. თხუთმეტი ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის ლიდერია მოსკოვის „სლავა“, რომელმაც 40 ქულა დააგროვა. ქუთაისის „შუნგიელს“ 14 თამაშიდან 25 ქულა აქვს და ჯერჯერობით მერვე ადგილზეა.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ბელგრადში დამთავრდა „იუგოსლავიის თასის“ გათამაშება ვაჟთა ნაკრებ გუნდებს შორის. ფინალურ ეტაპზე მასპინძლებმა დაამარცხეს გდრ-ის, ესპანეთისა და სსრ კავშირის კოლექტივები და პირველ ადგილს დაეუფლნენ. საბჭოთა ნაკრები მეოთხე ადგილზე გამოვდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე უნგრეთის, პოლონეთის, იტალიის ნაკრები გუნდები და იუგოსლავიის ახალგაზრდული კოლექტივი.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ᲑᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲝᲜᲖᲔ — ᲙᲝᲛᲞᲘᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡᲐ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ივლისს, 19 საათზე საქართველოს სამმხმარებლო კოოპერაციის მცხეთის თეატრონზე გამართავს ტრადიციულ დღესასწაულს — კოოპერაციის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს.

საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქში გამართული ზეიმის საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების მუშაკები, მხატვრული კოლექტივები, ეკონომიკურისა და მცხეთის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლები. გაიმართება საჩვენებელი სპორტული შეჯიბრებები. დასასრულ — სახალხო სეირნობა.

საზეიმო საღამომდე ორი საათით ადრე მოეწყობა დიდი სადღესასწაულო ბაზრობა. თბილისის ანლომდებარე რაიონების კოოპერაციათა წარმომადგენლები მოახმარებელს შესთავაზებენ ფართო ასორტიმენტის სამამულო და იმპორტულ საქონელს.

ტყე-პარკის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი კვების ობიექტები მომხმარებელს გაუმასპინძლდებიან ეროვნული კერძებით, საკონდიტრო ნაწარმით, გამაგრილებელი წყლებითა და ნაყინით.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380006, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑ